ბაკქი ქალები

(რემინისცენცია)

ანა სანაია

მოქმედი პირნი:

დიონისე-ნახევარღმერთი
აგავე-მხევალთმეთაური
საფო-პოეტი მხევალი
ნეობელე-მკაცრი მხევალი, წარსულში მდიდარი
ნეოპტელენე-ლამაზი მხევალი
ანაქტორია-უშნო ხევალი
ქორო (მხევლობის სახელი ლამპიტო)-მუნჯი მხევალი

პირველი მოქმედება

/აგავე ამბობს არაფერს/

პირველი სცენა

პარტერში დიდი აუზია. აუზში ქალი ნელა მოდის. მას ხავერდის დიდი მოსაცმელი აცვია. სახე დაფარული აქვს. მოსაცმელზე ნეონის ასო “D” უნათებს და ხელში ხელოვნური დაფნა უჭირავს. სცენაზე იგივე მოსაცმელით სხვა ქალი დგას მღერის.H.e.r. Losting -ს

სცენის ბოლოში სხვა მხევალი აპათეა. ცეკვავს. ქალი აუზიდან ადის სცენაზე და სველ კვალს ტოვებს. უკან ეკრანზე გამოჩნდებიან სხვა მხევლები ცალ-ცალკე ფანჯრებში. ქალების სახეები ბევრდება და მათგან აეწყობა კაცის სახე. კაცს თავზე აკიდოებისგან აწყობილი გვირგვინი ადგას. კადრის ბოლოს იწერება ზუსტად ისეთი ლათინური ასო “D”. სცენა ბნელდება.

ანაქტორია: ადექით ჩქარა!
ლეოპტელენე: ღმერთო, რა ხმაურია?
ნეობელე: რა ხდება, რა?
ლამპიტო:…
ანაქტორია: რა გინდა, რა?
ლამპიტო:…
ნეოპტელენე: ასე გგონია?
ლამპიტო:…
ნეოპტელენე: ალბათ, ისევ ხალხი მოგვივარდაო.
ნეობელე: მოკეტე, ლამპიტო!
ნეოპტელენე: აგავე სად არის?
ნეობელე: ტყის გადაღმაა. პატარა ბოჩოლა უნახავს ჩლიქებიდან სისხლი სდიოდაო. იმის მოსაყვანად წავიდა.
ანაქტორია: რა გვეშველება? ლამისაა კარი შემოანგრიონ...

ნეობელე: რა ვქნათ?
ლამპიტო: …
ნეოპტელენე (ლამპიტოზე ანიშნებს სხვებს): წამოდი გავხედოთო.
ანაქტორია: წინაზე რაც მოგვხვდა, არ გახსოვს?… დედა, რა ქარია?! ნეტა აგავე მოვიდოდეს მალე.
ანაქტორია:რას გიშველის მერე?...
ნეოპტელენე:მოდი გავაღოთ, დავყრუვდი!
ლამპიტო: (პეპლოსზე ადიდასის ზედამოსხმული შემოდის ხელში ჩირაღდნით)…
ნეოპტელენე: წავიდეთო ამბობს, მე მაინც გავხსნი კარსო.
ნეობელე: მოვკლავ ამას!
ლამპიტო:…

ნეოპტელენე: ხმა შემომესმაო.
ნეობელე: მერე? რას ამბობენ, ახლა რას გვაბრალებენ?
ნეოპტელენე: ხალხი არ არისო...
ნეობელე: ხმასთან ერთად ტვინიც დაკარგე-თქო?
ლამპიტო: …
ნეოპტელენე: რაღაცას ყვირის, ვერ გავიგე…ა,მოიცა...ისო…რაო, ლამპიტო? ა…აჰა!..ა!… უი!… კაი, რას ამბობ?!
ნეობელე: რა ჯანდაბას ამბობს?
ნეოპტელენე: სიზმარი უნახავს…
ნეობელე: მაგას უთხარი წესიერი სიზმრები დაისიზმროს.
ანაქტორია: რომ არ გავაღოთ, უარესი იქნება. წინაზეც კარი შემოტეხეს!
ნეობელე: ახლა შენ შემოგტეხავენ, მოგწონს ეს განვითარება? იყვირონ, დაიღლებიან და წავლენ!
ლამპიტო:….
ნეოპტელენე:მე წავედიო
(ლამპიტო მიდის)
ნეობელე: სად?.. გააჩერე! ლამპიტო!
ლამპიტო მიდის.მისდევენ.
ეკრანზე ჩნდება რეკლამა: “ჩვენი კომპანია გთავაზობთ ყველაზე გამძლე კარებს. რკინის სამმაგი დაცვა, წრთობილი მეტალი და მასში გამავალი ელექტრონული სადენი, მძლავრი სენსორებით. იღებთ პულტს და უბრალოდ, თითის დაჭერით კეტავთ კარს ”-მედიდური კაცი თითს აჭერს პულტს. ნელა ჩამოდის თეთრი კარი ავტომატურ რეჟიმში. გაღიმებული კაცი მშვიდად წვება საწოლში.

სცენა მეორე

ქალებს შემოყავთ დახეულ-დაგლეჯილი საფო.
საფო: სად ხართ ამდენ ხანს? გავითოშე! ვფიცავ თვით ზევსსაც, რომლის ხელები მომაცილებდა მდელოებზე აქ მოსასვლელად. მისი სურვილი მინათებდა ბნელს და ჯურღმულსაც. ფეხებზე ჰერმესის შემომაბა ლამაზი ფრთები, რომ მოვსულიყავ მალე საუფლოს.

ნეობელე: ვინა ხარ? რა გინდა?
საფო: მცივა.ძვალიც კი მიკრთის..
ლამპიტო:…
ნეოპტელენე: ბრბოს ხო არ გავს, ხოდა შევიყვანოთ. ერთ- ერთი მორწმუნეა უეჭველიო...
ნეობელე: ესეც დაესიზმრა?
ლემპიტო:…
ანაქტორია: არაო, ეს კი ვიცი დაზუსტებით… თუ იქნება იმღერებს, თუ არა და დავკლათო
საფო: ხომ არ გაგიჟდით? ზვარაკად რომ არ ვქცეულიყავი ლესბოსიდან იმიტომ მოველ. გამოვიარე მთანი და ტბანი. პოსეიდონი მომაცილებდა ტალღების სრბოლით.

ნეობელე: რაო, რა ბრძანე? გინდა არესი მოვიხმო?
საფო: ნეტარ ხარ შენ რომ გჯერა
ნეოპტელე: სადაა პულტი, დროზე გააღე და გაისროლე!
ნეოპტელენე: ლამპიტოს უნდა მოველაპარაკოთ…
ანაქტორია: არაფერი უთქვამს, შენ რა, მაბრმავებ?
ნეოპტელენე (მიუბრუნდება ლამპიტოს): თვალებით მითხრა!
ლამპიტო თვალებს ხუჭავს
ნეოპტელე:ამბობს. რომ გადაირევით ხოლმე ამ სიცივეში, დადგებით და არაფერი არ გჯერათ ჩემიო .ყველაფერს ვითმენ, ხო ყველაფერი ჩემზე უკეთ შენ იცი ნეობელე, მაგრამ არც ასეა საქმე. ამბიციებისა და ბოღმისგან გასიებულო!
ნეობელე: ეს ამდენი მის თვალებში ამოიკითხე?
ნეოპტელენე: ასე თქვა!
ლამპიტო:…
ნეობელე; არა ლამპიტო, ვიცი შენ რომ ამას არ ამბობ.. აი, შენ.. მერე მოგელაპარაკები
ლამპიტო:…
ანაქტორია: დროზე ჰქენით რა, მოკვდა ეს უბედური, გალურჯდა!
ნეობელე: კარგი, შევიდეთ.მალე აგავეც დაბრუნდება და გადაწყვეტს, რა ქნას. მომისმინე! აგავე მოვა. გაიგე. აგავე იცი ვინაა? აგავე ჩვენი ლიდერია!
ანაქტორია: რატომ უყვირი? სცივა, განა ყურში არ ესმის.
ნეობელე:ა,ხო!
 მხევლები აუზიდან სცენაზე ადიან

მესამე სცენა

ნეობელე: ჩააცვით და მოყვეს ვინაა, რაა ან აქ რა უნდა.
(საფოს განმოსავენ და ღვინიანი წლით ასუფთავაბენ. კარგად დაზელენ).

საფო: მე ასული ვარ პელიკონის.მიტილენე არის ქალაქი ჩემი, მაგრამ მშვა მე დედამ ჩემმა ერესოში. პატიონებით განთქმულია ჩემი ოჯახი. დიდებულების ღრუბელი ადგას. ბავშვობიდან ზეთისხილის ბაღში დავხტოდი. მემოსა ლურჯი პეპლოსი და არას ვნაღვლობდი.
ნეობელე: ამან ახლა ესე უნდა ილაპარაკოს?
ანაქტორია: არ ვიცი..
საფო: ჯერ არ ვიცოდი, მე საბრალომ, რომ უბედური ვიყავი იმით, რომ მდედრად ვიშვი ამ ქვეყანაზე.ოთხი წლისამ დავინახე მეზობლად კაცმა, მოხუცმა კინესიასმა, როგორ სცემა ცოლი-მირინე. იმ დღის მერე დავიფიცე, რომ მხოლოდ ქალთა მოდგმას ვუმღერებდი, ვუმღერებდი მე მათ სინაზეს, მაგ გათელილ ქალწულობას- ქორწინება რომ გადაუვლის, როგორც გრიგალი და ყლორტსაც აღარ შეარჩენს სილაჟვარდისას.

ნეობელე: რაო?
ნეოპტელენე: ქალთა მოდგმაო…
საფო: მე შევიძულე კაცთა მოდგა- არესის შუქი. ბოროტ ძალთა ქომაგი და ქალთა მტერი. მდედრთა თმის ტალღებს ვუმღეროდი. შემრაცხეს მხეცად. მითხრეს რომ ზევას შევძაგდი. არც აპოლონი მოიღებს სიტყვას. არც კითონში ვეღირსები ლაღი სიოს ქროლვას. ვერც გავთხოვდები და ოჯახს ჩემსას, შუქმფინარეს, მიადგება სიმწრის ჩრდილი. ყველა განმაგდებს! ყურად არ ვიღე ეს მუქარა.დავქროდი ჰანგით და მუზების მეუფება თან დამყვებოდა. ჩემს შავს კულულებს ვაბნევდი ქარში და სურვილს ვუღვიძებდა ტირანთ თუ სხვებსაც… ქორწილის წინ ყოველ ქალწულს მიტილინესას ვუმღერდი, როგორც ცოცხლად დაფლულს. სახლიდან ოხვრით,თმაგაწეწილი ვაცილებდი ქმრის სარეცლამდე.
ნეობელე: ცუდი თარგმანია თუ რა ჭირს?
ანაქტორია: პოეტია, რა მოგივიდა…
ლამპიტო: …
ნეოპტელენე: მე მესმის ყველაფერიო..
საფო: ...მაგრამ ეს განა კმარი არის? ერთ დღეს, როდესაც ქორწილიდან ცრემლორეული მოვდიოდი, დავინახე ვიღაც ყმაწვილი. ამედევნა. ხეებს შორის წამაქცია და ზემოდან მედგრად მომისკუპა როგორც ნადავლი. მომაგლიჯა მკერდზე პეპლოსი და მკერდს მიკოცნის...
ლამპიტო:…
ანაქტორია: გეამაო, გეკითხება?
საფო: არა! თუმცა კი… ვიწყევლიდი თავს და თან სიამით ვკვნესოდი… ხელები პირზე ავიფარე. კივილი მოვრთე.. სიმღერა შემომაგება მე იმ ვაჟმა.
ლამპიტო:..
ანაქტორია: როგორ მღეროდა და გნერბავდაო?
ნეობელე: რაო?
საფო: ასე იყო! თან მეუბნება: ” საფო ნაზო, შენ ლამაზო დიაცო, იის ნაწნავიანო, როგორ მინდა რომ შენაც ხვაშიადი გაგიხსნა.სიტყვა ვერ დამცდენია.გეტყვი,მაგრამ მცხვენია.”- ეს თქვა და ისე გაასმაგებით წამომაგო თავისსავე ფალოსს, გონი დავკარგე!
ლამპიტო: …
ნეოპტელენე: ნეტარებითო?
საფო: არ მახსოვს, ვფიცავ ზევსს და ოლიმპოს თითქმის ყველა ღმერთს. რა გქვია მითხარ. ჩავეკითხე გონზე მოსული.”ალკეოს მქვია” ალკეოსი... შენც პოეტი ხარ? ნუთუ ისა ხარ, ვის ჰანგზეც ბევრჯერ დამძინებია,მეც წამიბაძავს ჩემივ სტრიქონით და ოცნებით დამთენებია? კაცისა არც პოეზია ვარგა,არც ხვაშიადი. ეს არს მართალი! თუ ცუდი ზნე გაქვს. როგორ ლესავ მაშ ამ სტრიქონებს, სად ხარ მართალი? პოეზიის ლაჟვარდი გმოსავს , მოკვდავთა შორის ხარ სულ ბოლო, უკანასკნელი. მჭკნარი ყვავილი და ლეღვის ქურდი და უხალხო ბინა. სახლში დავბრუნდი. სამი დღე-ღამე მხოლოდ ვტიროდი. დავიტირებდი ჩემს უდროოდ მიხდილ სხეულსაც, სულსაც, ცრემლს ვაგროვებდი პაწაწინა სურებში, რომ შემეპოხა მერე სხეული. ცრემლით ვიბანე მკერდიც ,საშოც. მესამე ღამეს ჩამეძინა და გამაღვიძა დაფდაფების ხმამ და ხმაურმა. უღირსთა შორის უღირსი და უნიჭოთა შორის უგვანო ნიჭი- ალკეოს, ჩემთან მოსულა და ჩემს სახლში ითხოვს ჩემსავე ხელს. გავვარდი

გარეთ. მამა მოვიხმე. ვთხოვე რომ ეთქვა უარი. “მას არ გავყვები!”- შევღმუვლე მშობლებს. დედაჩემს კი ძლიერ ეწადა:-”შვილო, მთელ მიტილინეს შენღა დარჩი გასასაღებელი”. მისი იმედი მე არ მქონდა, მხოლოდ -მამისა.
ნეობელე: ვერაფერი გავიგე
ლამპიტო: …
ნეოპტელენე: რაო? ა… ვინც ნერბავდაო, იმას უნდოდა რომ ცოლად მოეყვანაო.
ნეობელე: ბუნებრივია!
საფო: ალკეოსი გავისტუმრე უარით.თან დავადევნე წყევლა და კრულვა. სანამ მზე ჩასცდა ღრუბლის ბალიშს, ალკეოსს უკვე ეჩივლა ჩვენთვის,რომ უარი ვთქვი, რათა შევრთოდი ცოლად. მივედით, რათა გაგვერჩია მტყუან-მართალი. სამართლის ძალით ვერგე ალკეოსს მონად და ცოლად..იმავე ღამეს ალკეოსის სარეცელი გავიზიარე და თურმე რა ვიცოდი მე უბედურმა, რა ფიქრი ჰქონდა…
“ქალწულ არ იყო!”- მოსდო მთელს ქალაქს, მეორე დღესვე. თითქოს მან თვითონ არ წამართვა იმ დღისით ბაღში. ჩემს დასჯას ითხოვს, თრევით გაყვანას. სიკვდილის ალში სურს გამახვიოს!…
ნეობელე: ნაგვის ბუნკერში მოზელილი სამი დღის ვირთხის ლეში!
საფო: “რისთის მსჯი”- ვკითხე ,მის მუხლებთან სასოწამხდარმა. შენ არ ისურვე ჩემი ქმრობა. მოველ მშვიდობით. სიყვარულის მჯეროდა მხოლოდ.ტანთაც ჩაგაცვი და სულის საზრდოდ ასი სტრიქონი მოგიძღვენი, მერე რომ მუზეუმად ქცეულიყო ეს სიყვარული. შენ უარმყავი! იუპიტერმა რომ შეწყვიტოს ბრუნვა, არ შეგერთვები-სთქვი. მომიკეტე სულის კარები .ახლა კი ეგდე. დაგგლეჯს ხალხი .მე კი ვუყურებ შენს თრევას ასე შორიდან. იმ სირცხვილს მაინც ვერ ჩამოვირეცხავ,მაგრამ რად ვაქნევ მე ამ სიტყვებს რისი ღირსიც ხარ, საფო ,ქალწულო , მოგეგება სულ ყველაფერი! გამოვიქეცი კუნძულიდან. მეტროსთან ახლოს ქალი იდგა ფურცლებით ხელში. მან მკითხა, ხომ არ მსურდა თავშესაფარი. მომეცით იგი,გევედრებით… თავშესაფარი!
ნეობელე: მოვა აგავე და ის გაგცემს პასუხს. მეც ეგრე დავიწყე მგონი ლაპარაკი.
ნეოპტელენე: ლამპიტო ამბობს თუ გინდათ დაწვრილებით მე მოგიყვებოთო.
ნეობელე: დღეისთვის საკმარისია!
ლამპიტო:…
საფო: ლემპიტო, ტკბილო რად არ შეგწევს, რომ ისაუბრო? ხმა ამოუშვი ლამაზ ხორხიდან
ლამპიტო:...
საფო: ეს რა მითხარი?
ნეოპტელენე: ხო, მთელი ქალაქის კაცების ასო პირში ედო
ლამპიტო:…
ნეოპტელენე: ა, ბოდიში, გამოვივლე ხახაშიო.
საფო: მერე?
ნეოპტელენე: ხო, უყვარდა ეგ საქმე, მაგრამ ერთხელ ჰერაკლეს შეხვდა…
საფო: სად?

ნეოპტელენე: ჩანიაში. იქვე ჩახადა და ჰერაკლეს დიდრონმა ნამუსმა შოკში ჩააგდო. პირით დაწვდა. დაუზიანა ხმის იოგები. ქმარიც მიხვდა, რომ ღალატობდა და სანამ მოკლავდნენ, თავი აქ შემოაფარა
საფო: ო, უბედური!
ლამპიტო:…
საფო: ხო, მესმის, ძნელია, რაც გიყვარს, რომ არ გეძლევა!
საფო :მიამბე ნეოპტელენე, ლამაზო ქალო. შენ სადარად მხოლოდ მზეს ვიხმარ.შენ როდის მოხვდი მხევალთა შორის -ასე ლამაზი, ასე ნაზი?
ნეოპტელენე: როგორ და..?
ანაქტორია: მაგარი ისტორიაა
ლამპიტო:...(პირს აღებს, უხმოდ იმანჭება)
ანაქტორია: აი,ნახე ჯერ არ დაუწყია, ეს საცოდავი უკვე სიცილით გადაბჟირდა. მიდი მოყევი!
ნეობელე: მეც უნდა მოვყვე გიჟ პოეტთან ჩემი ამბავი?
საფო: ცხადია.აქ სასირცხვო ნუთუ რა არის?მეც ხომ გიამბეთ ჩემი ამბავი.ჩვენ დები ვართ. ცაზე ვარსვლავად ამოქარგული.
ნეობელე: ამოქარგული არა, ყლე!
საფო: ო,ნეოპტელენე განაგრძე, მიამბე, გული გადამიშალე, სარკესავით ავირეკლო შენი სიტვები
ნეობელე: ესეთი უცნაური გიჟი პირველად ვნახე. ჩუ, მგონი მოდის სიჩუმე
ნეობელე: არა, აგავე მეგონა…მალე დაბრუნდება იმედია.
ნეოპტელენე: მე სადაც ვცხოვრობდი თებეში, პერე ერქვა.
უკან ინთება კარაოკეს ფანჯრები.
აინთენ “NEOPTHELENA” იწერება ტექსტი და ნეოპტელენე კითხულობს და იწყებს სიმღერას:
My ambition is attractive
გამათხოვეს შემრთეს უშოს,
My aggression isn't passive
ზნე და თავის ფორმა ლამაზი ჰქონდა.
I promise with you the butterflies in my stomach are active
 გავაჩინე ერთი შვილი.მან კი თავისი მკვდარი ცოლის სახელი დაარქვა
They're dancin', I'm feelin' static
არაფერი მითქვამს. მან კი მაჩუქა ოქროს ეტლი.
Wanna get closer like magnets
 და კიდევ ბაღი ვარდების,თვალუწვდენელი ბაღი.
Your company, I've been feinin’
მხოლოდ ის მიმაჩნდა კაცად
I think I've turned to an addict I don't get high
მაგრამ მალე ჩემს ოსტატს შევხვდი
But lookin' in your eyes, I'm lifted
მან მიმასწავლა ნეტარების მწვერვალი
Can we make this tradition?
ასე ვიყავ ბევრი წელი
Your kisses make all my doubts go away

ქმარმა არ იცოდა,
Go away, yeah
სანამ მეორე შვილი არ გავაჩინე
What we doin'?
ის- ლურჯი კანით.
What we doin'?
მან თქვა, წადი!
What we doin'?
ერთ საათს გაძლევ,
What we doin'?
ჩემი შვილი კი წყალს გაატანა
Let me know
სად არის ნეტა?!
Let me know
ვისთან იზრდება?!
What we doin'

ნეოპტელენე: ელიას მთაზე.ერთმა იეზუიტმა რეჟისორმა იშვილა და ბაზრობებზე დაატარებს და ამსახიობებს. 200 ქარონად იყიდა ლურჯკანა ბიჭი.

საფომ: რამდენად?!
ნეობელე: ახლა ეგ ფასებია
საფო: ნეობელე!
ნეობელე: არც გაბედო…
ანაქტორია: მიდი, მიდი!
ნეობელე: არა!
ლამპიტო:...
საფო: რას ამბობა?
ლამპიტო: ...
საფო: ნეობელე მწერალი ხარ?
ნეობელე: არა!
ანაქტორია: ასეა!
ნეუპტელენე: თან ძალან კარგი!
საფო: ვინ ხარ ? მითხარი
ნეოპტელენე: ესქილეს ნათესავად ერგება.
საფო: პერიკლე შენ ხარ?
ანაქტორია: ხო, ეგაა, კაცის ფსევდონიმით წერს. ქალებისთვის დაუშვებელია ამ ბიზნესში სახელის მოხვეჭა.
საფო: დიდო ზევსო, ეს რა მესმის.სიხარულისგან ევროპესავით მოვაჯდები თხას.
ნეობელე: ჯანდაბა თქვენ თავს! ხო, მე ვარ! პერიკლე ვარ. რამე პრობლემაა?
საფო: განა რა უნდა იყოს აქ საჩოთირო, ძვირფასო დაო?

ნეობელე: კრეტინივით რომ არ ილაპრაკო, არ შეგიძლია?
საფო: არა!
ნეობელე: მაგიტომაც არ ვარ პოეტი! პოეზია სულელის საქმეა.თავქარიანი ფშვიტინა ქალის.კაცისაც დიდად არ არის.მხოლოდ ბავშვებს აქვთ უფლება გაიწაფნონ ანდაზებში და პატარა ლექსებში, რომ მერე პროზაში გადავიდნენ!
საფო: შენ ხომ არ აფრენ? დაფიქრდი,აბა, რას როშავ. შე ყლეო!
.ნეობელე: ელინიებო, ამდენი დათაფლული სიტყვის მერე ჭუჭუ რა ზუსტი იყო
საფო: ახლავე ბოდიშს მოიხდი.
ნეობელე: არა!
საფო: მოგკლავ!
ნეობელე: რას მიზამ, შე პოეტო?

საფო შეაფურთხებს.

ნეობელე: ლირიკული ფურთხი..

იწყება ჩხუბი. ქალები აშველებენ საფოს და ნეობელეს

ლამპიტო:..

ანაქტორია: კარგ ცხოვრებას არავინ გამოვქცევივართ აქ!

ირთვება კარაოკე. “NEOBAILE”

ნეობელე ჩერდება.

ნეობელე: არავინ შემაწყვეტინოს, იცოდეთ…თებეს გარეუბანში მყავდა სატრფო. ვიყავით ერთად, გვიხაროდა ფორთოხლების ჩრდილში ბღლარძუნი. მერე გაიგო რომ ვწერდი. შემიძულა. მარტო ის შემფეროდა, თურმე, რქებს რომ მადგამდნენ და ხან ფინიკელ გოგოებს იწონებდნენ ინსტაგრამზე და ხანაც სპარსელებს.

been on my grind I know that my schedule is busy
But I always make sure I call you
When I touch down in your city
I'll make time because you're worth it

ნეობელე შენ კი ეგდე. სად წახვალ ან რას იზამ?! მე ასაგდები ვიყავი თურმე. დაფნა მე არ მიხდებოდა და არც ოქროსფერი ქიტონი ტანზე. ქალი რომ ვარ ,ბნელში უნდა ვგდებულიყავი. ზაფხული იდგა. ცამეტი დღე გადასცდა ზღვის უკანმოქცევას. საშინელი დღე დაუდგა ჩვენს ლამაზ ქალაქს.რაღა

ლამაზს, უფრო ეკლექტურს.ადამიანები და ცხოველები ერთად მიჰქონდა აზვირთებულ მორევს,მეორე დღეს ქალაქის დასახმარებლად წავედი და ძაღლების თავშესაფარი მთლიანად დავალაგე.ჩემ გვერდზე ჩემს მხარდამხარ ერთი შორეული, ღმერთების აღნაგობისა და მიხრა-მოხრის მსგავსი ჭაბუკი იღლებოდა მორების თრევით. შესვენებისას რაღაც მითხრა,მომაძახა.მეორე დღეს ძაღლების ეზოს გადაღმა ისეთი ამბავი გავაჩაღეთ,ძაღლებს კი არა ადამიანებს შეშურდებოდათ..შემიყვარდა იმავე დღეს, გონება დავკარგე, როგორც უსულო ძაღლი თხლეში ვიწექ, გონება რომ დამბრუებოდა!

You only show me love when it comes to the music
It's like when I feel lonely that's when you start actin' choosey
I don't wanna keep playin' them games 'cause I feel like I'm losin'

დედაჩემი ქურუმს სთხოვდა “გამოულოცე!”, მაგრამ არაფერი მშველოდა.ვკვდებოდი ასე ახალგაზრდა, ასე ლამაზი. არც ჩემს წერილებს პასუხობდა. არაფრად მაგდებდა.უფრო ცუდად თუ შეიძლება ვყოფილიყავი არ მეგონა.არ მინდოდა ჩემი ოჯახის წევრებს რამე გაეგოთ ჩემს გრძნობებზე და მევე ვითხოვე, დედაჩემს ათენში ბიძაჩემთან წავეყვანე.ბარგი ჩამილაგეს,დამსვეს და გამიშვეს. ბიძაჩემი, დიდი ოსტატი კაცი, მალე მიხვდა რაც მჭირდა და ერთ ღამეს, როცა ყველას ეძინა მოვიდა ჩემთან და მითხრა. შურისძიება ხომ არ გინდა გასწავლო თან ისეთი მთებს რომ გადადგამს და უსისხლოდ მოკლავს მაგ შენს ბიჭსო.

What we doin'?
What we doin'?
What we doin'?
What we doin'?
Let me know
Let me know
What we doin’?

სულ ვკანკალებდი.მოვყევი: როგორ შევხვდით,რომ შემიყვარდა.რამდენიმე ხნის შემდეგ რომ ვუთხარი ამის შესახებ.როგორ მიმატოვა. არ მიყვარხარო მაძახა. ბიძაჩემმა მითხრა: წადი და მოიძიე, ჩუმად ყველა ამბავი მისი,ავიც და კარგიც, აქ მომიტანე. გასწავლი წერას. ერთი წლის შემდეგ დაბრუნებული, დიონისობას, პარტერში მჯდომი. სკენიდან გაიგებს თავის ამბავს და ის მოსპობს. სიკვდილს ნატრობდეს. სიკვდილი გაუხდება მას საოცნებო. წავედი, მოვიარე ჩუმად ის ადგილები სადაც დაიბადა,გაიზარდა ვისთანაც ჰქონდა საქმე. ჩუმად გამოვიკითხე ყველა ამბავი მასზე. ვინც არ ამბობდა- ქარონს ვაძლევდი,რომ მოეყოლა. ერთი წლის შემდეგ რომ დაიდგა სპექტაკლი, მე ბიძაჩემისგან სახელშეცვლილი ვიდექი ბერძენი ხალხის წინაშე. ისიც იქ იყო. ვუყურებდი მე მის სახეს და ვხარობდი.

იწყება სპექტაკლი.გაითამაშებენ ნაწყვეტს ნეობელეს პიესიდან.ლამპიტო გამოდის დიდი ქიტონით და აკმევს.მოდის თოვლი აუზში.შემოდიან მონაწილეები .

პატარა ნავზე დამჯდარი მოცურავს ნეოპტელენე

ნეოპტელენე: მითხარი ზევსო, ვინ დაწყევლა ესე ქალაქი? რომ დას შეერთო ქმარად ის კაცი მთაზე რომ მოსჩანს... მან და მისმა დამ უბედური ევროპე შეაცდინეს.

სცენაზე გათამაშდება როგორ კოცნიან ქალები ერთმანეთს და მესამეს დაძალებით იხუტებენ

ნეოპტელენე: დაე,დაბნელდეს აღარ მსურს ვნახო!

წყალში შემოდიან სხვა მხევლები თაბაშირის თავზე წამოსაცმელი ნიღბებით.იბანენ პირს წყლით.

ნეოპტელენე: ჩემსკენ მოდიან!

ჩამოჰყავთ ნეოპტელენე ნავიდან, ხდიან და ეფერებიან.

ნეობელე იწყებს სიმღერას:

My ambition is attractive
My aggression isn't passive
I promise with you the butterflies in my stomach are active
They're dancin', I'm feelin' static
Wanna get closer like magnets
Your company, I've been feinin'
I think I've turned to an addict I don't get high
But lookin' in your eyes, I'm lifted
Can we make this tradition?
Your kisses make all my doubts go away
Go away, yeah
You only show me love when it comes to the music
It's like when I feel lonely that's when you start actin' choosey
I don't wanna keep playin' them games
'Cause I feel like I'm losin'
I don't wanna keep playin' them games
'Cause I feel like I'm losin'

What we doin'?
What we doin'?
What we doin'?
What we doin'?
Let me know
Let me know
What we doin'?

ნეობელე ჭამს ყურძენს.

წყლიდან ამოჰყავთ ნეოპტელენე. საფო ჭიქას ავსებს აუზში და მიაწვდის ნეოპტელენეს

საფო: დალიე,ცოტას გიშველის.

ნეოპტელენე სვამს წყალს. ტირის.

ნეობელე: ვინმემ იცის რას ნიშნავს სიკვდილი?

საფო: რას?

ნეობელე:…

ნეობელე მიკროფონს ასწორებს.

ნეობელე: ღმერთი!…. ერთი… ერთი.. ერთი..

ისმის მიკროფონში

ნეობელე: ეს მიკროფონი გასასწორებელია!

კარზე ისევ აბრახუნებენ.

ნეოპტელენე(კოსტუმს იხდის): მოვიდა!

სცენა მეოთხე

აგავე: უხ, რა ცივა.ბოჩოლა დედას მოშორებია.იქ რომ ვნახეთ, გახსოვთ ,ტყესთან? ხელში აყვანილი მოვიყვანე.ქალის რძის მეტს არაფერს სვამს.ერთი სოფლელი დედაკაცი მოვწველე, რომ გამოვკვებო

ნეობელე: აგავე, გაიცანი- საფო

აგავე: ვინ?

ნეობელე: გეხვეწები თავიდან ნუ მოაყოლებ.პოეტია მიტილინედან.

აგავე: რა დაგემართა?

საფო:ო,დიდო აგავე…

ნეობელე: მორჩი!

აგავე: წესიერად თქვი, რა გინდა?

საფო: გთხოვ, შემიბრალო,აღარ გამიშვა უკან, სადაც სიკვდილი მელის.

აგავე:თავი ამტკივდა! ნეობელე მოდი აქ!

ნეობელე: გავაგდოთ?

აგავე: ეგდოს, რას მიშავებს. სხვა რამე მღრღნის. სამი დღეა ღმერთის ხმა არ მესმის.

ნეობელე: რას ამბობ?

აგავე:შეწყვიტა ჩემთან ლაპარაკი!

ნეობელე: ახლა ღამეა…

აგავე: ღმერთს არ ძინავს, ნეობელე!

ნეობელე: რა უნდა ვქნათ?

აგავე: შეკრიბე ყველა

ნეობელე: მერე?

აგავე: ვილოცებთ და თუ ხმას გავიგებთ, გადმოვფრინდებით

ნეობელე: და თუ არა?

აგავე: კიდევ ვილოცებთ.

ნეობელე: საფო?

აგავე: ისიც

მეხუთე სცენა

აუზი ლივლივებს. ყველას მუხლი მოუყრია.

აგავე: გამაგონე შენი ხმა… აქ ვარ, მხევალი. გვაპატიე, თუ ვერ დაგიცავით…

საფო: ო,დიდო ღმერთო, შუქმფინარო, გამოეცხადე დედა აგავეს…

აგავე: (ნეობელეს) გააჩუმე!

ნაობელე: მოდი, ვუთხრათ რომ გადაფრინდეს.

აგავე; ჯერ ადრეა!

ნეობელე: დიონისე, არ გვესმის შენი… გემუდარები გვითხარი ,სად ხარ.
პენთევსი(აუზიდან): აგავე!

აგავე: ჩუმად! დაიჩოქეთ!

ყველა ძირს წვება. და ზურგიდან უნათებთ “D”

აგავე:გაგვაგონე შენი ხმა

პენთევსი:აგავე!

აგავე უახლოვდება წყალს.

აგავე: პენთევს შვილო, აქ რას აკეთებ?

პენთევსი: შენ რას აკეთებ აქ? რას? ჭკუაზე ხარ?

აგავე: დროზე წადი აქედან. ჩქარა!

პენთევსი: (ყვირილს აპირებს)

აგავე ხელს მიაფარებს პირზე.

აგავე:წადი და ზუსტად ერთ საათში გელოდები. ისე გაცურე, რომ ამათ არ დაგინახონ.

პენთევსი გადის.

აგავე: გავიგონე, ვნახე თვით ღმერთი!

ნეობელე: აგავე!...

აგავე: როგორ მომნატრებია მისი ხმა!

ნეპტელენე: ჩვენ რატომ ვერ ვხედავთ?

აგავე: თქვენც დაინახავთ!

საფო: როგორ მსურდა შემეტკბო ის ბრწყინვალება, მხოლოდ მას რომ მოსავს…

აგავე: დამიჯერე ყველაზე დიდი და ლამაზია! წავედით ჩქარა. გოგრა შევწვათ. ვჭამოთ და საფოც აღვკვეცოთ.

საფო: მე ღირსი გავხდი ამ ნეტარების?

აგავე: ჩქარა, წამოდი! ყველა ღირსია იმისი, იყოს ის, რადაც იშვა და არა ის, რასაც აბრალებენ ან თვითონ იწვის თავის ალუზიებში.

სცენა მეხუთე

ანაქტორია: ისევ კარს ანგრევს!

აგავე: ხალხია ისევ!

ნეობელე: ხალხია!

ნეოპტელენე: არ შემიძლია…ჩვენ აქ ბედნიერები ვართ!

აგავე: მე გავაღებ

ნეობელე: არა, აგავე!

აგავე: მომეცი პულტი!

ლამპიტო:…

ნეოპტელენე: აუ,თუ ჩემი ქმარია.

აგავე: არ არის შენი ქმარი! მაგის თავი რო ჰქონდეს აქამდე მოგკლავდა. არ უყვარხარ, არა! გაიგე!

გადიან

ტელევიზორი. საინფორმაციო

სხვადასხვა ქვეყნის კადრები. რეკლამა. წინა რეკლამის კაცი.:'' იყიდეთ კარი,ის გაუძლებს ელვას და ყოველგვარ ნალექს.მისი ალუმინირებული ზედაპირი ლამაზი და თანამედროვეა'' წვება. პულტით კეტავს კარს. სეხეზე ჩრდილი ჩამოეფარება. ლოგლაინი: ''სიმძიმე გიცავს სიყვარულისგან''

აგავე აღებს

პენთევსი და აგავე გადაეხვევიან

აგავე: პენტევს შვილო! (ჩახუტებული) არ დაიწყო სისულელეები. შემოდი ჩუმად და ვილაპარაკოთ

ნეობელე: შენ ხარ?

ნეოპტელენე: გული გამისკდა…

საფო: ვინაა ეს ჭაბუკი, მხევალთ ნათებავ?

ლამპიტო: ….

საფო: აგავეს შვილი?

ლამპიტო:…

საფო: კი ლამაზია, უცნაურად უბურავს სახეს ეს კულულები..მაგრამ თვალები ეგეოსისფრად შუქმფინარე. თავზე დაფნის რტო დაამშვენებს მის ამ ღიმილსაც…

ქალები დგანან იქვე ქოროსავით.

“AGAVE” vs “PENTHEUS”
კარაოკეს ფანჯრებს აწერია

აგავე: როგორ ხარ?

პენთევსი: არ გკიდია?

აგავე: არ მკიდია, გეკითხები!

პენთევსი: კარგი იქნებოდა, აქამდე გეკითხა

აგავე:თუ მოხვედი, მაშინ მითხარი!

პენთევსი: რა გითხრა, რატომ თუ რა გაინტერესებს?

აგავე: ამჩნევ, რომ რაღაც ისე მელაპარაკები? ბავშვობიდან ასე მელაპარაკებოდი. ბაღში შენმა ჯგუფელმა რომ გითხრა, არ გახსოვს, დედას როგორ ელაპარაკები, პენთევსო?

პენთევსო: ერთი კიდევ მაგისიც!

აგავე: რა გინდა? ამხელა გზა იმიტომ გამოიარე, რომ მეჩხუბო?

პენთევს: აზრი რომ ჰქონდეს, კი!

აგავე: რა გინდა პენთევს?

პენთევს: სახლში დაბრუნდე! დაანებე ამათაც თავი და მორჩი!

აგავე: არა!

პენთევს: დედა,გთხოვ!

აგავე: პენთევს თუ სულ ესაა, იცი ჩემი პასუხი

პენთევს: ყველას დასაცინი რომ გახადე შვილი, მაგისი პასუხი რა იქნება?

აგავე: ვინ დაგცინის?

პენთევსი: ძალიან კარგადაც იცი, ვინც დამცინის, დედა.სულ იმის მტკიცებაში ვარ, რომ არ გაგიჟებულხარ. უკვე ასაგდებად გამხადე..თებეს ქუჩებში ვერ გამივლია, ყველა ჩემკენ იშვერს თითს. გული მისკდება, ერთხელაც რომ მოვარდეს ხალხი ..მართლა რომ მოგკლან?

აგავე: არა, არ მაინტერესებს ხალხი!

პენთევს: ეგრე გგონია?

აგავე: კი.მიცავს.

პენთევს: ვინ გიცავს, ვინ? არ დამიწყო ახლა, მე და შენ მაინც ვიცით, რა ღმერთიცაა.

აგავე: გაჩუმდი!

პენთევს: ცხოვრებას მინგრევ!

აგავე: შენს ცხოვრებას შენ თვითონ ინგრევ

პენტევსი: მისმინე, ცოლის მოყვანა გადავწყვიტე!

აგავე: ვინ არის?

პენთევსი: არ იცნობ.

აგავე: თებელია?

პენთევსი: თებელი ვინ გამომყვება, დედა!

აგავე: რა? გაგიჟდი პენთევს! არ გადამრიო ახლა. ჭკუიდან შევიშლები.

პენთევსი: არ მაინტერესებს შენი აზრი.

აგავე: …

პენთევს: მიზეზი არ დაგელევა შენ, რომ დაიწუნო ჩემი საცოლეები!

აგავე: ტროელი სხვაა. გამორიცხულია!

პენტევსი: მკიდია შენი აზრი!

აგავე: რა გინდა ჩემგან? რას ითხოვ ? ლოცვა -კურთხევას პენთევს, თუ რას? არ გექნება, ვერ მიიღებ!

პენთეევსი: მოვითხოვ, რომ აქედან წამოხვიდე, დედა თორემ არავინ გამომყვება ცოლად გიჟი დედის შვილს.

აგავე: ცოლს მოიყვან თუ არა, მე დამივიწყე! დედა აღარ გყავს!

პენთეევსი: ნეტავი მართლა არ მყავდეს და ბოსტანში ვეპოვე ვინმეს დაკარგული, უპატრონო ჩვილი.რატომ საშოში არ გაგიწყალდი ან რატომ არ მოვკვდი ჩვილობისას?

აგავე: გაჩუმდი, ეგ მეორედ არ გაიმეორო!

პენთეევსი: ამ სირცხვილს ხომ არ ვნახავდი დედა.ამ ტკივილს ხომ არ გამოვივლიდი?…

აგავე: ისევ იმაზე ფიქრობ?

პენთეევსი: როგორ არ ვიფიქრო იმაზე, ვინც მიყვარდა?

აგავე: არ გიყვარდა.ეგ არ არის სიყვარული.

პენთეევსს:აბა, რა არის?

აგავე: პატარა იყავი და სულელი

პენთეევსი: ხმა ჩაიგდე!

აგავე: წადი აქედან!

პენთეევს: ხომ შეგიძლია, მიცვალებულზე ასე არ ილაპარკო?

აგავე: რატომ მოიკლა თავი, რა, ისევ გგონია, რომ ჩემ გამო? იმ გოგომ თავი თვითონ დაიღუპა!

პენთეევსი: დაამცირე.აღარ გახსოვს? გიმტყუნა მეხსიერებამ?

აგავე: ნუ აჭარბებ, რატომ დაშორდი?

პენთეევს: იმიტომ, რომ თვითონ წავიდა. ვერ აიტანა შენგან ეს შეურაცხყოფა!

აგავე: თუ უყვარდი, დარჩენილიყო, აეტანა! რა ხელი აქვს სიყვარულს თავმოყვაობასთან? გეკითხები?...

პენთეევსი: დედა, როგორ შეგიძლია ასე ილაპარაკო- ის გოგო მოკვდა. თავი მოიკლა!

აგავე: ვწუხვარ, მაგრამ მისი ბრალია

პენთევსი: წუხხარ? გეგონება ვაშლი ნაადრევად მოწყდა ხეს...

აგავე: ასეც შეიძლება ითქვას…

პენთევსი: ნუ მაგიჟებ! მოკეტე! რამ გაგაბოროტა ასე?.. სულ ვფიქრობ.პატარა დეუმენე იმიტომ არ მიიღე, რომ მამაჩემის დედამაც ასევე არ მიგიღო შენ. შენ ეს გტანჯავდა.გტანჯავდა, რომ ქმარმა დაგიკიდა დედის გამო და დედის გამო დაკიდებული ქალი სწორედ ასე გაბოროტდება, როგორც შენ. აი, შენ უბრალოდ არ ჰგავხარ იმ ქალს, რომელსაც დედის გამო დაიკიდებენ და ის ამას მშვიდად შეეგუება და ყველას პასუხს არ აგებინებს.

შემოდის პიკოდილოსი. იმავე სცენაში.(ფლეშბექი) სცენაზე არაფერი არ იცვლება.

პიკოდილოსი: აგავე, წყალი მომიტანე!

აგავე: ახლავე პიკოს.

პიკოდილოსი: წყლით ბოლომდე გაავსე!

აგავე:აჰა, ბატონო!

პოკო: ეს ბოლომდეა?

პენთევსი: მამა!

პიკო: გამაგებინე, ეს ბოლომდეა?

აგავე: რაც დამეღვარა მოტანამდე….

პიკო: ეს ბოლომდეა თუ არა, გეკითხები…ბოლომდეა-მეთქი?! მე ვთქვი, ბოლომდე მეთქი- შენ არ მომიტანე!

აგავე: ხო, არაა.

პიკო: რაღაცას რომ ვთხოულობ ცოლისგან, ნუთუ ასე ძნელია რომ შემისრულოს? ყველა ცოლი, მთელ თებეში, არის ცოლი!... და აი, ჩემი ცოლი- ცოლი არ არის!

აგავე: არაა ასე!

პიკო: რაო?

აგავე: მე ვთქვი…

პიკო: გითხრა? ვინმემ აზრს დაგეკითხა?პატალა პენთევს, მე ახლა ვკითხე დედაშენს რამე?

პენთევსი ტირის

აგავე: ბავშვს გავიყვან…

პიკოდილოსი: მოდი აქ და მითხარი, რატომ არაა ბოლომდე გავსებული? დედაჩემმა მითხრა: ნუთუ, ვერ ხედავ შენი ცოლი რომ გაკლებს ყველაფერს და მართალია. წყალსაც კი მაკლებ ჭიქაში!!!

აგავე: შენ თვითონ იკლებ ყველაფერს!

პიკო: რა თქვი?!

აგავე; რაც გაიგე!

პიკოსს ხელს კრავს პენთევსი

პიკოსი ხელს იქნევს, აგავეს დაიჭერს, პეპლოსს წამოხდის და ოთახში შეიყვანს. პენთევსი ტირის და კარს უბრაგუნებს მუშტებს.

პენთევსი:დედა! დედიკო!

პიკო: ახლა კი ნახე როგორ უნდა დააკლო ქმარს წლის წვეთები! ასე მოგიწევს. მოგწონს ასე რომ გექცევიან?! მე რატომ უნდა მომწონდეს მაშინ? აიტან, ამასაც აიტან! მარტო მე რატომ უნდა ავიტანო, შენც აიტან! ყველაფერს!

პენთევსი: დედა, დედა!

სიჩუმე.

აგავე გამოდის ოთახიდან. იცინის.

აგავე: პენთევს, გინდა პეპლების დასაჭერად წავიდეთ? წადი, აიღე ჯოხი.

პენთევსი გადის.აგავე ტირილს იწყებს.პენთევსი შემოიდის ჩვრით ხელში და მტირალ აგავეს ხელებს წმენდს

აგავე: რატომ დავიბადე ქალი? მეზიზღება.აი ესაა ალბათ ჰადესის ფსკერი ან ფსკერს მიღმა რაცაა, ის...არაფრის არ მეშინია. არაფრის არ მეშინია. მე არ მეშინია .ღმერთო მოდი ჩემთან, გთხოვ! სულ მარტო ვარ, ხომ ხედავ? არავინ მყავს არავინ! მოდი, მოდი, აგავესთან მოდი. გთხოვ!

პენთევსი: დედიკო მე შენთან ვარ. დედა არ იტირო. ნახე, მე შენ ცრემლებს შევჭამ…

აგავე ტირის პენთევსი ცრენლებს დახრუპავს მისი სახიდან.აგავე შვილს იხუტებს.

აგავე: ჩემო ძვირფასო, ტკბილო შვილო როგორ მიყვარხარ.არასოდეს არ მიგატოვებ.მადლობა ღმერთს, რომ მე მარგუნა შენი დედობა.ჩემო ლამაზო წითელთმება. ჩემო ჰაერო. შეგისუნთქავ, შენით გავივსვებ ფილტვებს.

აგავე ყნოსავს პენთევსს.

ნეობელე იწყებს სიმღერას.

კარაოკე

You only show me love when it comes to the music
It's like when I feel lonely that's when you start actin' choosey
I don't wanna keep playin' them games
'Cause I feel like I'm losin'

სცენა მეექვსე

აგავე. პენთევსი

აგავე: ჩემი აზრი იცი!

პენთევსი: შენი აზრი ვიცი. გაგიკვირდება და არ მაინტერესებს!

აგავე: წესიერად პენთევს.

პენთევსი: წამოდი დედა. უკვე სასაცილოც აღარაა ეს ყველაფერი.თან ანტისექტანტურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა პერისკაპონი

აგავე: ეგ იდიოტი მე რას დამაკლებს?

პენთევსი: შენზე ამბობდ ტროიადან მართული ძალააო

აგავე: ღმერთო , ზოგი რა კრეტინია. ვნახე მეც ეგ, იმიტომ ამბობს, რომ არასდროს მიმიცია ნება ჩემთვის თაყვანი ეცა. ერთხელ ვნახე, ვნებისგან დადნა

პენტევსი: რა?

აგავე: პენთევს, იქნებ მიხვდე, რომ მეც ქალი ვარ და კაცს შეიძლება მოვეწონო. მარტო შენ გაქვს უფლება ტროელ გოგოებში გართობის?
და გთხოვ, რაც გინდა ქენი, ვინც გინდა გაიჩინე საყვარლად, მაგრამ ყველას საცოლეს ნუ დაუძახებ!

პენთევს: მე ერთს ვეძახდი- ვინც მიყვარდა!

აგავე: არ გყვარებია…

პენთევს: დედა!

აგავე: ნუ მასწავლი, შენ ვინ უნდა გიყვარდეს, პენთევს, და ვინ-არა?

პენთევს: ნეტა სხვა დროში დავბადებულიყავი და სხვა დედასთან!

აგავე: დედა და შვილი სულ ასე იქნება!

პენთევს: რანაირად?... რომ დედა მოკლავს შვილის...?

აგავე: არავინ არ მომიკლავს!

პენთევს: არა, არ მოგიკლავს რა თქმა უნდა. ის რომ მოვიყვანე სახლში, გახსოვს? ოქროს მონეტა ჩაუგდე ხელში, როგორც მათხოვარს და კარი მოუკეტე, დედა! ცხვირწინ კარი მიუკეტე, დედა!

აგავე: ამაზრზენია როგორც იქცევი!

პენთევს: შენ უფრო ამაზრზენი ხარ!

აგავე: შენ უნდა გეთქვა..

პენთევსი: ამის მერე რა უნდა მეთქვა?

აგავე: პენთევს თავს მიხედე რა და ამ…

პენთევს: ტროელიც ადამიანია!

აგავე: მე ნუ მიყვირი.

პენთევსს: ყველას თავისი დედა უყვარს, ვინც დაბადა?

აგავე: თორემ მე რა შესაყვარებელი ვარ, არა? გრცხვენია ჩემი?

პენთევსი: არა! მიყვარხარ…

სიჩუმე

პენთევსი: ვხუმრობ, რა თქმა უნდა, არ მიყვარხარ!

აგავე: აბა, რა გინდა ჩემგან?

პენტევსი: როგორ მეგონა, რომ კიდევ რაღაცას გაიგებდი? როგორ ვეჭიდებოდი ამ მცირედ იმედს.

აგავე: პიკოდილოსის საფლავზე ხშირად დადიხარ?

პენტევსი: არასდროს ვყოფილვარ!

აგავე: იმან გაგზარდა და უნდა იარო.

(ფლეშბექი)

პიკოდილოსი: აგავე!

აგავე: პიკოს მეძახდი?

პიკოსი: დაასხი ღვინო!

აგავე ჩამოასხამს, ისე რომ სულ ბოლომდე გაავსებს ჭიქას და წვეთიც არ ვარდება .პიკოსი ტუჩებს მიიტანს და დახვრეპს

პიკოსი:აგავე მითხარი, რომ გიყვარდი?

აგავე: ახლაც მიყვარხარ!

პიკოსი: რისთვის?

აგავე: რომ ქმარი ხარ ჩემი.

პიკოსი: მხოლოდ ამიტომ?

აგავე: კიდევ რატომ უყვართ ცოლებს?

პიკოსი: იმიტომ, რომ უყვართ…

აგავე: არ ვიცი, პიკოს, მე გითხარი ჩემი.

პიკოსი: შემომხედე! რა მითხარი? რა, რა მითხარი? ისე გავიდა ცხოვრება, ეს არ გითქვამს ჩემთვის.

აგავე: რა პოეტური ხარ პიკოს.

პიკოსი: მე მეტი შემიძლია ვიყო

აგავე: ნეშტი ხარ, მტვრიან შარაზე სვავებისგანაც მიგდებული!

პიკოსი: მაშ გიყვარვარ?

აგავე: მიყვარხარ ძლიერ!

პიკოსი: მოდი მანახე, როგორ გიყვარვარ. აჰა,აიღე დანა და ისე ღრმად დამკარი, როგორ ძალიანაც გიყვარვარ!

აგავე: ხელი გამიშვი!

პიკოსი: მოდი, დამარტყი!

აგავე: პიკოს საჭმელი მშია

პიკოსი: ვიცი, რაც გშია.

აგავე: მიდი ჭამე, აზრი არ აქვს!

პიკოსი: ისე გცემო, როგორც მიყვარხარ?

აგავე: ა,ანუ ცემას არ აპირებ თუ როგორც მძულხარო- უნდა გეთქვა?

პიკოსი: დანას აიღებ და დამკრავ, თუ შემოვიტანო წვრილი ზეთისხილის წნელი?

აგავე: ოღონდ ეგ არა, პიკოს!

პიკოს: რატომ? გაგახსენდა რა ავი ზნისაც არის? კარგად აგწვავს ტანს!

აგავე: გთხოვ, არ ქნა!

იხდის.

აგავე: მოდი, რაც გინდა ქენი, ოღონდაც წვრილი წნელი არა! იარებს ვერ ვიშუშებ და ექიმბაშის ფულიც არა გვაქვს, მოსარჩენად რომ ვიარო.

პიკოდოლოსი: წნელი გადაწყდა…

აგავე გამოიღებს დაფნის ნაყენს

აგავე: ძილი მომგვარე შენ ნაყენო, რომ არ ვიგრძნო ძვლებზე დარტყმა. მალე ჩავიდეს ხორცში წვრილი წნელი და სისხლმაც არ იწყოს დენა!

აგავე დაწვება. პიკოსს წნელი შემოაქვს

პიკოსი:(დაიქნევს) აჰა, აიღე ახლა მაინც მიხვდი რას განიცდის კაცი, როცა სხვის შვილს მამობს და ცოლი უსიყვარულობით სჯის.(დაიქნევს) აჰა, აიღე და ნახე ,როგორია მოთმენა ამ ყველაფრის. (დაიქნევს) დედაჩემი ლაჩარს მეძახის.მთელი თებე მე დამცინის, რაც ს ოქროს კულულები მოეზარდა. ბავშვს თმა შევჭერი და ამით უფრო დამახინჯდა. ისიც და ჩემშიც ყველა-სურვილი. ახლა ნახე! ასე უფრო კარგია? ასე, ასე ,ასე!

ურტყამს გამეტებით. ყველა აქნევა ჰაერს ჭრის. აგავე ხმას არ იღებს ქვასავით წევს

 პიკოდილოსი ჩერდება და გადის

აგავე: ცოცხალი ვარ!

ხელებს იტარებს ტანზე. არ ტირის. მიხოხავს ჭრილობის შესახვევად.

ისმის სიმღერა:

აგავე შედის წყალში. წყალი გაწითლდება. ნელა ჩამოიბანს სხეულს მღერიან მხევლები მონაცვლეობით

სცენა მეშვიდე

პენთევსი. აგავე

პენთევსი: არ გრცხვენია! ვიცი, არ ფიქრობ ჩემზე. მე კი სულ მინდა გაფიქრო,მაგრამ როგორ დაგაფიქრებ, შენთვის ხომ ზედმეტი ვარ. სულ ასე ვიყავი და სულ მე ვიყავი მიზეზი შენი უბედურების. პიკოსის ქცევის და მიწაზე თრევის. მახსოვს, როგორ გეხვეწებოდი გაყოლოდი, რომ დროზე ეცემე. მე კი მძაგდი! მძაგდა შენი მოთმინება. მძაგდა ის პური მე რომ მაჭმევდი. მას შენი სისხლის და ცრემლის სუნი ჰქონდა. შენ ისეთი უბედური გინდოდა ვყოფილიყავი, როგორც შენ იყავი. ამისთვის მოკალი დოემენე. ცოცხლად დამარხე და მე მაიძულე მიმეყარა მისთვის მიწა. ამით გართული სულს იტკბობდი. რატომ მითხარი? რის გეშინია, რომ დამკარგავ და სადმე წავალ?...ხო. მაგრამ შენ წამოხვედი და ყველას ნაცვალად შენ უარმყავი. შენივე შვილი,როცა მციოდა, გამათბე მხოლოდ სიცივით და როცა მწვავდა სიძულვილი, კიდეც დამცინე და თავი ისე შემაძულე მხოლოდ ვკითხულობ, რა მინდა აქ? ახლა აქ ვდგავარ? რა მინდა აქ? ახლა აქ ვარ? ხოდა რა მინდა? აქ ვდგავარ და არ გავრბივარ,იმიტომ რომ ბოლომდე მინდა გიყურო ან თრევით წაგიყვანო. ვიცი, არ წამოხვალ. მაშინ რა მინდა აქ? სულ დავიცალო და თავზე დაგაცალო სიძულვილის ის

სავსე სურა, რომ განვიკურნო. იმ სიტყვას ვეძებ რითაც იგივეს გიზამ,რაც შენ დამმართე და ვერ ვპოულობ. მძულს ჩემი თავიც!

What we doin’?
რა მინდა აქ?

What we doin’?
რატომ ვარ?

What we doin’?

რა მინდა აქ?

პენთევსი გადის. აგავე თვალებს ხუჭავს.

პენთევსი და დიონისე კარაოკეს ერთად მღერიან

პენთევსი:You only show me love when it comes to the music
It's like when I feel lonely that's when you start actin' choosey

აგავე:

Let me know
Let me know
What we doin’?

აგავე: აჰა, აირე გაიკეთე დაგიფარავს და ავი აზრები აღარ გექნება

მოიხსნის ოქროს ჯაჭვს და ცდილობს პენთევსს გაუკეთოს

პენთევსი: არ გაბედო. არ მინდა! მე არ ვარ მხევალი. არ მინდა

აგავე: შვილო..

პენთევსი ცდილობს თავი დაიხნას. აგავე უძალიანდება. ძალით ჩამოაცმევს თვზე და ცდილობს არ მოიხნას. უცებ ძირს დაეცემა პენთევსი.

სცენა მერვე

საფო: ‘‘შვილო’’-თქვა დედაჩემმა და ძირს დაემხო…

ნეობელე: ოჰო, რაღაც ახალია…

საფო: ბოლომდე არ მითქვამს

ნეოპტელენე: რა არ გითქვამს?

საფო: ჩემი ამბავი

ლამპიტო:…

საფო: ხო, მინდა.მინდა გითხრათ.

ნეობელე:…

საფო: შემპირდით რომ ამისთვის არ დამსჯით.

ნეობელე: გპირდები

ნეოპტელენე:.. თ!

საფო: არ ვარ აქ მოსული, რომ მხევალი ვიყო… ჩემი და რამდენიმე დღის წინ ზღვამ გამორიყა. ხელებში მესვენა უსულო. სულ პატარა, აფროდიტეს ჰგავდა … მერე საფლავი გაუთხარეს და მზის ჩასვლამდე დაკრძალეს. მე შორიდან ვუყურებდი ყველაფერს. მიტილინედან გამოგდებულმა, ჩემი და ვერც კი დავიტირე. ხალხი წავიდა. მე მივედი საფლავთან და დავიფიცე, ყველაფერი გამეგო და შური მეძია მის მკვლელზე. მალე გავიგე თურმე უყვარდა, მალე გავიგე, რომ იმასაც თურმე, მაგრამ დედამისს ქარონი ჩაუგდია მის პაწია ხელში. ვითომ:- ‘‘შე მათხოვარო’’-ო და არ შეუშვია სახლში! ის პატარა იყო… ის სულ პატარა გოგო იყო… ის პატარა გოგო იყო.. ალბათ როგორ შეეკუმშა პატარა გული იმ წამს. მაშინ რატომ არ ვიყავი მასთან,ხომ მოვკლავდი იმას, ვინც ერთ ქარონად შეაფასა. აიღო დანა და თავი მოიკლა ნავში… ზღვამ გამორიყა ლესბოსზე, თოლიებისგან დაჯიჯგნილი მისი სხეული…

სიჩუმე

საფო: რატომ არ მეკითხებით ვინ იყო ის ქალი? რატომ არ მეკიხებით, მე აქ რატომ ვარ? რატომ არ მივედი იმასთან? რატომ არ მეკითხებით ვინ არის ის?

აგავე: მიშველეთ!

პენთევსი გდია უსულოდ. ოქროს ჯაჭვით გაგუდული. მხევლები თავზე დაადგებიან

აგავე: აღარ სუნთქავს..

საფო: ჩქარა ექიმი!

აგავე: მითხარით, ჩემი შვილი აღარ სუნთქავს?

საფო: წყალი მოიტანეთ, ჩქარა!

აგავე: კარგად იქნება?

საფო: დახმარება ჭირდება
აგავე: რა?

საფო: ექიმი.. ცუდადაა. თითქმის არ სუნთქავს

აგავე: რა?

საფო: რას დამდგარხართ? გაინძერით!...

ნეობელე: აგავე, შენ რა წამალს დაალევინებ შენს შვილს?

ნეოპტელენე: შენ რა ნებას მისცემს სისხლი გადაუსხან?

ნეობელე: შენ რა ამით უარყოფ დიონისეს წესს?

ანაქტორია: აგავე, შენ გვიწესებდი ამას და შენვე უარყოფ?

ნეობელე: მოშორდით პენთევსს!

საფო; ჩქარა! მოიყვანეთ ექიმი. კვდება

ნეობელე: მოკეტე! (აგავეს) აგავე, გვიპასუხე შენ პენთეევსს სისხლს გადაუსხამ და უარყოფ წესს?

აგავე: მკვდარია, მოკვდა?

საფო: არა, შველა ჭირდება. ადექი ჩქარა!

აგავე: არა, ვერ ვუარყოფ

საფო: შენ ხომ არ გაგიჟდი. შენი შვილი კვდება. ადექი ჩქარა წავიყვანოთ ქალაქში.

აგავე: ა, გადავრჩინო?

საფო: ხო, ხო..

ნეობელე: რა? უნდა გადაარჩინო?

აგავე: არა, მე…

ანაქტორია: როგორ? შენ რა ღმერთს უარყოფ? შენ გინდა რომ შენი შვილი ავმა ძალებმა შეიპყრონ?

საფო: აწიე მიდი.

საფო წყალს ასხამს.

აგავე: მე არ ვიცი… მაპატიე!

საფო: მკვდარია, მოკვდა…

ეკრანზე მიდის ნამდვილი პიესის ინგლისური ვერსია.

Agave monolog

სიცარიელე. აგავე უყურებს სიცარიელეს.,მერე შვილს,მერე სიცარიელეს…

აგავე პირს აღებს.

გამოდის კარაოკეს ფანჯარა. ეწერება: ‘‘აგავეს მონოლოგი’’. ყველა მხევალი დადგება მიკროფოთან. მიყვება სტრიქონს ხაზი,როგორც სიმღერაშია. სათითაოდ იმეორებენ.

სიცარიელე

ნეოპტელენე: ააა…

აგავე გაოგნებულია.

ქორო მორიგეობით კითხულობს აგავეს მონოლოგს.

ლამპიტო:(აგავეს ტექსტს) ჩემი შვილია?

ყველა ლამპიტოს შეხედავს. ლამპიტო გაკვირვებულია.

ნეობელე:(აგავეს ტექსტი) ჩემი შვილია?! ო,არა!...

ანაქტორია: ნუთუ თითებმა, პირველად რომ იგრძნეს ეს სითბო, გამოგასალმეს სიცოცხლეს?

ლამპიტო: რატომ?

ნეობელე: ეს შენ ხარ პენთევს? რა ლამაზი ხარ, ჩემო ძვირფასო...

ანაქტორია: რად დაგიხურავს ეს ლომის თავი?

ნეოპტელენე: ნეტავ ვიტირო... რატომ ვერ ვტირი?

აგავე გაოგნებულია. ამოაქვს აუზიდან წყალი და წმენდს პენთევს ნელ-ნელა.

ლამპიტო: ხმა გამეცი პენთევს!

ანაქტორია: ხმა გამეცი, დედაშენი ვარ!!!

ნეობელე: არ მიმატოვო!

ნეპტელენე: ეს სიჩუმე რით დავიმსახურე?

ანაქტორია: გთხოვ, გაახილე თვალი!

ნეპტელენე: შემომხედე იმ სიძლვილით!

ლამპიტო: ეს რა არის? რა ჰქვია ამას?

ნეობელე: რა ქვია ამ ტკივილს?

ანაქტორია: რატომ არ ვკვდები?...

ნეოპტელენე: მიპასუხე, რატომ არ ვკვდები?...

კარაოკეში ჩნდება "საფო" და მისი ტექსტი.

საფო: ეს მე ვარ, საფო….

საფო უყურებს აგავეს.აგავეს უჭირავს მკვდარი პენთევსი.

საფო: გახსოვს, პატარა დეუმანე მიტილინედან?

კარაოკეში ჩნდება აგავეს ტექსტი

ნეოპტელენე: ვინ?

საფო: დეომენე!

ლამპიტო: ვინ?

დიონისე: დეომენე!

ნეობელე: ვინ?

საფო: დეომენე.

ნეპტელებე: ვინ?

აგავე: მახსოვს!

 საფო: ჩემი და იყო. ამ ხელებით ამოვიყვანე. ფორთოხლის ბაღებს გადაღმა ქანაობდა ნავში და ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა მის მაჯებს სითხე. ამ ხელებით…

საფო გაშეშებული უყურებს

საფო : … დავმარხეთ ზღვასთან ახლოს, რომ აფროდიტეს ტალღების ნანა ემღერა მისთვის და სამუდამოდ ჰადესს ჩასულს შევფიცე!…

აგავე: შეხედე საფო, მკვდარს უყურებ შვილსაც, დედასაც. გთხოვ, რომ მომკლა! ახლავე მომკლა გემუდარები!

საფო: (კარაოკეში საფოს ტექსტს) ყველა იმაზე აგებს პასუხს და მანაც აგო,როცა პატარა დეომენე გაწირა და შენ კი, შენი თავი ღმერთზე მაღალი რომ გგონია, მაგ ხელებით ბოლო ჭუჭყს აცლი შენ მხოლოდ შობილ ძეს. მითხარი…
მე მინდოდა მომეკალი. შენ კი ისეთი რამ ჩაიდინე. ჩემს მეტი მშველელიც არავინ გყავდა. ეს რა ქენი? შეგეძლო ... ხომ შეგეძლო გადაგერჩინა?

აგავე: ვერაფერს გეტყვი, გავჩუმდები! დავდუმდები. სამუდამოდ ქვად გადამექცა თითქოს ეს გული ან სულ ქვა იყო და ახლა დაიწყო მან მკერდში ცემა და შემახსენა ჩემი დიდი დანაშაული. ო,შვილო ჩემო რატომ წევხარ აქ? …შენ დედამ მოგკლა? დაე, ისიც შენთან დაიმარხება. გემუდარები. მომკალი! გთხოვ, რომ მომკლა! შენი დისთვის, გთხოვ!

საფო: გაჩუმდი!

აგავე:გემუდარები მომკალი! შვილო, შენ დედამ მოგკლა? შვილო, ეს როგორ ქნა, უბედურია დედაშენი! შენი სხეულის პირველი სითბოთი ბედნიერი, ახლა გიხუტებს რომ გაგათბოს .მკვდარია, მკვდარი!

საფო: გაჩუმდი!

აგავე: გემუდარები მომკალი. შვილო შენ დედამ მოგკლა? ეს როგორ ქნა, უბედურია დედაშენი!

საფო: გაჩუმდი!

აგავე: გემდარები მომკალი. შვილო, შენ დედამ მოგკლა? ეს როგორ ქნა, უბდურია დედაშენი!

კარაოკე ქრება. სირენის ხმა ირთვება.

ნეოპტელენე: რა ხდება?

ნეობელე: უნდა გავიქცეთ!

ლამპიტო:…

ანაქტორია: ისევ დამუნჯდა!

ნეოპტელენე: აგავეს რა ვუყოთ? მიკრულია მკვდარ ვაჟთან, ისეა შეწებებული...

ლამპიტო მივა და ვერ აყენებს.

ნეობელე: ჩქარა!

საფო გაშეშებულია. საფო ყურებს დედა-შვილს.

საფო: მართალი იყო ის კაცი… ბოლოს ყველა მიგატოვებს, მტრის გარდა!

ნეობელე (ხელს კიდებს). წავედით ჩქარა, რაღაც ხდება!

საფო: დაუმარხავს ხომ არ დავტოვებთ?

ნეოპტელენე: წავედით!!!

გარბიან მხევლები. საფო დგას. მორბიან, მიყავთ საფო. საფო ბრუნდება აგავესთან. დგება. მორბიან ისევ, მიყავთ. საფო შემოდის. დგება. მორბიან და მიყავთ. საფო შემოდის, დგება. მორბიან, მიყავთ. საფოს შემოაქვს შუშის ოთხკუთხედი,

განათებული კოლბა. დააფარებენ აგავეს, რომელიც მკვდარ შვილთან არის ჩახუტებული. საფო გაყავთ ძალით.

აგავე და პენთევსი არიან ოთხკუთხედ განათებულ კოლბაში. ზედ პატარა სტიკერია ,რომელზეც ფოტოაპარატის ლოგო გადახაზულია. ” NO PHOTOS” - აწერია როგორც სამუზეუმო ექსპონატს. გვერდზე მინაწერია: “Agave with her son. BC 405”

მეორე მოქმედება

პირველი სცენა

/ Volver/

აბრა: ”Agave with her son. AD”

აგავე იღვიძებს. პენთევსს დახედავს და შუშიდან გამოვა.

აგავე: პენთევს, ადექი!… არ გესმის ჩემი? მოკვდი თუ რა გჭირს?

შენ დედამ მოგკლა!

აგავე ადგება. პენთევსს ვერ იშორებს. აგავე ჩემოდანს შემოიტანს. შიგ ჩასვამს პენთევსს. დაკეტავს ჩემოდანს. გადის.

მეორე სცენა

აგავე. სეიკილოსი.

აგავე შედის კაფეში.

აგავე: სეიკოლოს, როგორ ხარ?

სეიკილოს: ვინ ხარ?

აგავე: აგავე!

სეიკილოსი: ვინ?

აგავე: ვერ მიხსენებ?

სეიკილოსი: საიდან უნდა გიხსენებდე?

აგავე: ჩაიზე დამპატიჟო?

სეიკილოსი: არა. ვინ ხარ?

აგავე: მეჩქარება! უნდა გამიხსენო. გთხოვ, გამიხსენე!

სეიკილოსი: სიამოვნებით გაგიხსენებდი, რომ მახსოვდე.

აგავე: მომენატრე

სეიკილოსი: გილოცავ

აგავე: დავჯდები.

სეიკილოსი: მაპატიე…

აგავე ჩემოდანს მიაგორებს მაგიდასთან

აგავე: მაჯონგი…

სეიკილოსი: იცით ეს თამაში?

აგავე: კი, ვიცი…

აგავე და სეიკილოსი მაჯონგის ასოების აწყობას იწყებენ

სეიკილოსი: აქაური ხართ?

აგავე: ვიყავი ადრე.

სეიკილოსი: მერე?

აგავე: ნუ მკითხავთ.

სეიკილოსი: ახლა არვინ ატარებს ასეთ სამოსს

აგავე: მე ვატარებ. არ მოგწონს?

სეიკილოსი: საიდან უნდა მეცნობოდეს ეს ხმა?

აგავე: პირველად გესმის.

სეიკილოსი: არ მგონია…

აგავე: "ს" ამოვიდა (უჩვენებს ასოს მაჯონგის დაფაზე)

სეიკილოსი: ჩემთან კი "ა"

აგავე: მოდი ავრიოთ

ხელით ურევს მაჯონგის ასოებს.

სეიკილოსი: მე ხომ გიცნობ?

აგავე: ..მაგრამ ვეღარ მცნობ

სეიკილოსი: რატომ?

აგავე: ..იმიტომ რომ ვერც ვერასდროს ვერ მცნობდი.

სეიკილოსი: არ გიცნობ! რას აკეთებთ?

აგავე: ვთამაშობ.

სეიკილოსი: კარგი დღეა. ოღონდ სუსხია ცოტა.

აგავე: გზად არავინ შემხვედრია. ყველა სახლშია შეკეტილი
სეიკილოსი: სასამართლო პროცესია ტელევიზორში.

აგავე: ვისი?

სეიკილოსი: ერთი ბიზნესმენის. ამბობენ, ღვინის ფალსიფიკაციით არის დაკავებულიო

აგავე: …და რა მოსამართლე ვერ მოისყიდა?

სეიკილოსი: ასეთი ადვილია დღეს ეს?

აგავე: რა შეიცვალა?

სეიკილოსი: ხელი დაგადეთ

ხელს ხელზე ადებს

აგავე: ასეო “ ა” ამოვიდა..

სეიკილოსი: რა სიტყვა გამოდის?

აგავე და სეიკოლოსი შეაერთებენ

სეიკილოსი: ღმერთი

აგავე: ღმერთი… სად არის?

სეიკილოსი: აქ უნდა იყოს…

აგავე დგება და ძებნას იწყებს

აგავე: აბა სად?

სეიკილოსი: (იცინის) რას აკეთებ?

აგავე: ღმერთს ვუხმობ

სეიკილოსი: მაშინ დაჯექი. ღვინოს დაგისხამ და მოიხმე

აგავე: დავჯდები

სეიკილოსი: იქნებ თქვენს ჩემოდანშია?

აგავე: რა გგონია?

სეიკილოსი: რა?

აგავე: ..რომ ჩემოდნით დამაქვს ღმერთი?

სეიკილოსი: წესით გულით უნდა დაგქონდეს.

ღვინოს ასხამს

აგავე: მოდი..

სეიკილოსი: სად?

აგავე: მოდი ნახე. მოდი, ნახე სად მაქვს გული.

სეიკილოსი: თქვენ სექსი გინდათ…

აგავე: მოდი და ნახე

სეიკილოსი: არა!

აგავე: გიბრძანებ!

სეიკილოსი: რა გინდათ?

აგავე კოცნის

სეიკილოსი: ასე არ გამოვა

აგავე: ადრეც ასე თქვი…

აგავე იხდის და მიდის . სეიკილოსი მიყვება.

შემოდიან მხევლები.

ნეობელე: აქ არის! მოდით…

ნეოპტელენე: სადან მიხვდი რომ აქ იყო?

ნეობელე: მარტივად!

ანაქტორია: ღმერთი უარყო! ღირსია უმკაცრესი სასჯელისა!

ლამპიტო: შუაზე გავგლიჯოთ. ვცემოთ, ვათრიოთ…

ნეობელე: მეტის ღირსია!

ნეოპტელენე: ცრუ მეძავი…

გამოდიან სეიკილოსი და აგავე.

აგავე: აქ რა გინდათ?

ნეობელე: (ხელს კრავს) შენ რა გინდა აქ? დაიჭირეთ!

ქალები იჭერენ აგავეს და თოკით უკრავენ ხელებს.

აგავე: რა გინდა, ნეობელე? მე უკვე მოვკვდი, კიდევ მკლავ!

ნეობელე: ღმერთი ვინც უარყო, დაისჯება!

სეიკილოსი: რა ხდება?

ნეობელე: მოკეტე!.. და ყოველთვის როცა აყვები ცდუნებას, დაისჯები

სეიკილოსი: რისთის? ვინ ხარ?

ნეობელე: აჰა, ვეღარ მცნობს! ვერც ეს იცანი? (აგავეს სახეს აუწევს) ხომ არ გაგონებს იმ ქალს ვისთანაც იწექი

სეიკილოსი: ეს წეღან იყო!

ნეობელე: წეღან და დიდი ხნის წინათ!

სეიკილოსი: არა, ეს წეღან იყო!

აგავე: გაჩუმდი!
ნეობელე: მე მეუბნები?

აგავეს პირს აუკრავენ მხევლები.

სეიკილოსი: რას ამბობ,გადი აქედან..

ნეობელე მაგიდასთან მივა

ნეობელე:''ღმერთი'' წერია მაჯონრის ხაზზე.

სეიკილოსი: მერე?

ნეობელე: მერე ის რომ ეს ქალი შენთან იწვა

სეიკილოსი: ეს წეღან იყო!

ნეობელე: კარგად დაფიქრდი. განა, ეს ქალი არ ჰგავს იმას, ვინც შენთან იწვა ოცი წლის წინათ?

სეიკილოსი: ეს წეღან იყო!

ნეობელე: ეს ის ქალია, ვინც შენგან დაორსულდა…

სეიკილოს: ეს წეღან იყო…

ნეობელე: შეეძინა შენგან ვაჟი და მერე სხვას მისთხოვდა,რომ უქმროდ, ნაბიჭვარი არავის დაეძახა მისთის თებეში.

სეიკილოსი: ეს…

ნეობელე: მერე კი მხევლად იქცა და ჩვენც მოგვაქცია ამ რწმენაში.

სეიკილოსი: ეს…

ნეობელე:ღმერთი უარყო! წესი არ დაიცვა! მან შვილი მოკლა! შენი შვილი…

სეიკილოსი: რომელი შვილი? მე არ მყავს შვილი!

ნეობელე: ახლა გაიხსენე ეს ქალი?

სეიკილოსი: არ გავიხსნე

ნეობელე: სწორედ აქ, ამ ადგილას მოალერსე. ასე შეეცვალა ალერსის ხერხი?

სეიკილოსი: არა, სწორედ ალერსის დროს გამახსენდა…

ნეობელე:ხოდა გისამძიმრებ შვილი მოგიკლა

სეიკილოსი: ეს სიმართლეა?

ნეოპტელენე: კი!

სეიკილოსი: არა…

სეიკილოსი მივა პირაკრულ აგავესთან

სეიკილოსი: ეს ასეა? მიხარი, მითხარი გემუდარები ....

აიღებს მაჯონგის კოჭებს. დადებს. წერია ‘‘არა’’

სეიკილოსი: მითხარი…

ნეობელე ჩამოდანს გახსნის.

ნეობელე: აი,აიღე სენი ვაჟი. ისე გგავს ,მგონი ეჭვი არაა რომ შენია…

სეიკილოსი ჩემოდნიდან გადმოათრევს პენთევსის გვამს.

სეიკილოსი: შვილო,შენ დედამ მოგკლა? უბედურია მამაშენი, რომელმაც არც კი იცოდა რომ ყავდი. ახლა კი დამარხულს გეფერება და სულს იმშვიდებს. ნეტა რა გქვია? რა ლამაზი ხარ... შენ დედამ მოგკლა?... მკვდარია ისიც და მეც მკვდარი ვყოფილვარ თურმე. შვილო, ჩემ ხელებს უნდა გაეზარდე და ახლა საფლავს გითხრის. შვილო, ჩემ თვალებს უნდა დაენახე სულ თოთო, ციდა. მკვდარი გაგიცნეს ამ თვალებმა. ბუდიდან უნდა ვარდებოდნენ. სისხლი უნდა მიჩერდებოდეს. უნდა ვკვდებოდე წყეულია დედაშენი. შვილო,შენ დედამ მოგკლა? უბედურია მამაშენი. ახლა გაგახვევ, ცხელ სახვევებს შემოგახვევ. სხეულს გაგითბობ… შენ ვეღარ მიცნობ, ცოცხალი ხომ ვერ გამეცანი…

ნეობელე: გული მიჩვილდება. რა სიტყვებია… მორჩი ამ ფსლუკუნს. გულს მირევს კაცის ცრემლები. ადექი დროზე და მოიფიქრე, იმ შვილს რა უზამ აგავემ რომ გაიმეორა?

სეიკილოსი: შვილი?

ნეობელე: აქ მოვიდა,უარმყოფელი და დაგიწვა იმისთვის რომ გაიმეოროს!

სეიკილოსი: ვინ?

ნეობელე: შვილი. ვინც მოკლა. იმნაირი,იგივე სახის,იგივე სისხლით და თესლით გაკეთებული.

სეიკილოსი: ეს სიმართლეა?

ნეობელე: თავს იშტერებ? მიდი,მოკალი!

შემოდის საფო

საფო: რას აკეთებ?

ნეობელე: ეს ნახე რაა…

საფო: წადი აქედან!

ნეობელე: ვის დაეკარგე?

საფო: ვიცი რატომაც მოხვედით.

ნეობელე: საიდან იცი?

საფო: ვერ მოგისწარით.

ნეობელე: მორჩა საქმე. საყვრელი კლავს.

საფო: ვერავინ მოკლავს!

ნეობელე: რას იზამ? ხელებს დაუბამ?

ქალები დაიჭირენ საფოს.

სეიკილოსი: წადით აქედან!

იარაღს ამოიღებს.

ქალები გარბიან. საფოც მიყავთ.

მესამე სცენა

სეიკილოსი, აგავე, მკვდარი პენთევსი.

სეიკილოსს გამოაქვს შპრიცი და ხუთმილიგრამიანი წამლის ფლაკონი. აგავეს მხართან კაბას გაუხევს და ნემსს უკეთებს.

აგავე: ეს რა არის?

სეიკილოსი: შვილს შეხვდები, მოემზადე. აბორტის ვაქცინაა ძაღლებისთის. 2 წუთში მოშლის ნაყოფს. წავალ, ბიჭს დავმარხავ! იმედია, რომ დავბრუნდები ცოცხალი არ დამხვდები. შენთვისაც გავთხრი მიწას.

სეიკილოსი შვილს აიყვანს.

სეიკილოსი: ის მიანც მითხარი, რა ერქვა?

აგავე: პენთევს…

სეიკილოსი: წამოდი შვილო!

მერვე სცენა

აგავე: მშვიდობით შვილებო. ერთს მე თვითონ დავუხუჭე თვალები,მეორეს-მამამ. ერთს მე მოვუღე ბოლო. მეორეს-მამამ. აქ ხარ? აქ ხარ, პატარა?

აგავე სისხლში წევს
აგავე:აი ვეხები შენს წითელ კულულს. აი, ვეხები შენს სხეულს და ვისმენ შენ ხმას. პირველად და უკანასკნელად. აი, მე გხედავ ჩემი სისხლით შედედებულს, მოშორებიხარ საშოს ჩემსას. აი,მე ვხედავ ჩემი სისხლით როგორ მიცურავ ჰადესის ფსკრეზე…

შემოდის საფო.

აგავე: საფო მოხვედი? გემუდარები მომკალი, გევედრები!

საფო მაჯონგის ასოებს აწყობს. წერია “ არა”

აგავე: გემუდარები, ეს მე ვიყავი, (იცინის) მე ვარ ის ქალი, შენი და რომ სიკვდილამდე მიიყვანა, შემომხედე, ეს მე ვარ, საფო! არ ვკვდები. არა, სასჯელია ჩემთვის სიცოცხლე…

საფო: ადექი, ქალაქამდე მიგაცილებ!

აგავე: არა,დავრჩები.

საფო: ადექი, ქალაქამდე მიგაცილებ!

აგავე: მომკლავ? იქ მომკლავ? შემპირდი რომ მომკლავ, არ ვკვდები... სასჯელია ჩემი სიცოცხლე!